

№ 13 (1335) ივლისი 1970

# საქსი

გამოცემის 47-ე წელი უახლესი 20 კპვ.

ნ.ბ. მ. აბაშიძის



მულაბა, რომელსაც მოველი საგარაკო სეზონის წინ ამბობენ.



— რა არის ეს, გუმბარანახე რომ დაბიკრავს ბავშვი?  
— რა ვქნა, უფროსი რომ ბავშვსავე სასწავლებლად, კლარ დამიბრუნდა. იქნებ, ეს მაინც დამიბრუნდეს.

# კაცთაგვარი



ქართული  
წიგლისათვის

კაცის სახე გაქვს, რომ შეგხედოს  
 კაცმა ერთბაშად, მაგრამ, ვაი, რომ ვერ მოგანდობს  
 კაცი ერთ ბატსაც, შენ კი ისწრაფვი, მეთაური  
 გახდე ყველასი! აბა, მითხარი, რა ფერი გაქვს,  
 ცისარტყელასი? ანდა, საერთოდ, შენს სულს თუ აქვს  
 რაიმე ფერი, ანდა, ხმა თუ გაქვს და ოდესმე  
 რაიმეს მღერი? თუ ხმა არა გაქვს და არასდროს  
 არაფერს მღერი და არც კი იცი გამოცნობა  
 ქვეყნად ფერების, როგორ გაიგებ, ვინ ყოფილა  
 ამ ქვეყნად მტვერი, ვინ არის ღირსი სიყვარულის  
 და მოფერების? შენ არ გენდობა კაცის ბედი  
 და სული კაცთა, რადგან შენ თვითონ არ ყოფილხარ  
 არასდროს კაცი. არა გაქვს გული და არ იცი  
 კაცური განცდა და წესიერად სულის მოთქმას  
 არავის აცლი. შენთვის ერთია: კაცი იყოს,  
 თუგინდ არ იყოს, სულ არ გაწუხებს მისი სევდა,  
 მისი ვარამი... ფიქრობ, ამ ქვეყნად შენი ყოფნა  
 მარტო კმარა იყოს, თითქოს შენა ხარ ერთადერთი,  
 სხვა კი — არავინ! ასეთ კაცუნას შეიძლება  
 ჰქვიოდეს კაცი? იგი ნამდვილ კაცს — ადამიანს  
 ცხოვრებას აცლის?!

ნიკოლოზ ჩაჩავა

## რამდენივე დღე ფსიქია

ყველა დროის ჯარისკაცებს შორის ყველაზე უფრო მამაცი ჯარისკაცი შევიკი ასეთი აზრისა იყო საგიჟეთის შესახებ: „ერთი სიტყვით, ჩემო ძმაო, იქ ცხოვრება კი არა, ცხოვნება იყო. შეგიძლია იყვიროთ, სანამ არ მოგწყინდებათ, იღრიალოთ, იმღეროთ, იტიროთ, იკიკინოთ, იტყვიროთ, იხტუნოთ, ილოცოთ, მალაყები აკეთოთ, ოთხზე იაროთ, ასკინილა ითამაშოთ, გარშემო ირბინოთ, იცეკვოთ, იჯირითოთ, მთელი დღე ჩაცუქული იჯღღეთ და, თუ გნებავთ, კიდელზეც კი აძვრეთ“.

ასეთივე ჯანსაღი აზრისანი არიან ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს შესახებ სამტრედიის რაიონის მაცხოვრებლები — ვაჟა კობალეიშვილი, აბესალომ მანჯგალაძე, ამირან სულაქველიძე, გურამ ბუაძე და რემზა ზამთარაძე, მათ გულკეთილობასა და გულისაჩუყებას უნდა მივაწეროთ ის მოკითხვა, რომელიც მათ, ამ რამდენიმე თვის წინ, სამტრედიის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს გარაჟის ყარაულის გომის საუბნო საავადმყოფოში მწოლიარე, თირკმელების ტკივილით შეწუხებულ იულონ სტეფანეს ძე ჭინჭარაძისათვის რომ გაიმეტეს. მივიდნენ, ნა-

სეს, ასჯერ და ასიათასჯერ დასწყევლეს ჭაჭების ყველანაირი ავადმყოფობა, მიწასთან გაასწორეს ყველანაირი სახადის მომგონი და დარიგების კორიანტელი დააყენეს:

— თირკმელებისათვის, როგორც ბაბუაჩემის ალალი ცოლისძმისაგან გამიგია, ასკილის წვენი უნდა იყოს უებარი წამალი. — თქვა ერთმა.

— ასკილის წვენისა რა მოგახსენოთ და, ირმის რქას კი ცხონებული მამიდაჩემი ჭაჭების მზესა და მთვარეს ეძახდა. — შეეკამათა მეორე.

— კენჭოვანმა დაავადებამ უმადობა იცისო, პატივცემულო იულონ, და კარგი იქნება, თუ დილ-დილობით უზმოზე ძმარს უყნოსავთ ხოლმე. — ურჩია ვაჟა კობალეიშვილმა.

აქეთურიც ბევრი თქვეს, იქითურიც და, ბოლოს, ისე, სასხვათაშორისოდ, ჩაულაპარაკეს:

— მეხსიერებაზე როგორ ბრძანდებით, პატივცემულო!

— გმადლობთ, არა მიშავს.

— ალბათ, ავადმყოფობას უნდა მივაწეროთ, ძვირფასო იულონ, ის თქვენი გამომძიებელთან მიცემული ამასწინანდელი ჩვენ-

ბა, რომ თითქოს 1970 წლის 2 იანვარს, თქვენი ყარაულობის დროს, გარაჟის გამგემ იაშა კობალეიშვილმა რენო დოლიძეზე გაპიროვნებული ავტომანქანა „გრს 17-25“ გარაჟიდან გამოიყვანა... გახსოვთ?


— დიახ, დიახ, გუშინდელივით მახსოვს... — კარგად გაიხსენეთ, ძვირფასო იულონ, ხომ იცით, იაშას ბოროტი ენები იმ დაწყევლილ ღელს იმ დაწყევლილ ავტომანქანით მერაბ ბაღდავაძეზე დაჯახებას და სიკვდილს აბრალებენ და, თუ თქვენი ძვირფასი ადამიანობითა და კეთილი გრძნობით ზოგიერთის დავიწყებასაც შესძლებთ, სამუდამო სამსახურს გაუწევთ ცოცხლად დარჩენილ ადამიანებს.

— კი... კი... კარგად მახსოვს, იაშამ გაიყვანა.

— თქვენს მდგომარეობაში მყოფ კაცს, შეიძლება, შეშლოდა კიდევ. ჭაჭებით დაავადებული და ჭაჭით მთვრალი ერთი და იგივეა. ამ საშინელმა ავადმყოფობამ გონების არევა და სკლეროზი იცის. ამიტომაც, კარგი იქნება, ტკბილის ჭამა და გონების განხლისება.

— ვჰამ, ბატონო, როგორ არა. არც ტკბილ ჩაის ვივიწყებ და არც შვინდის მურაბას.

ნახ. 3. ლომიძისა




უსიტყვოდ




ნახ. 8. აბაშიძისა

უსიტყვოდ

ნახ. 3. ზირცხალაშვილისა



უსიტყვოდ



# ტრიულ საავადმყოფოში

— ჩვენმა ნათესაობამ, თქვენი სიჯიუტის გამო, ოჯახურ თათბირზე გადაწყვიტა თავდაპირველი მკურნალობა თქვენს გულმავიწყობას ჩაუტაროს და ამით უცილობელი სამსახური გაუწიოს საგამომძიებლო საქმეს. ჩვენ ზვალეუ გადავიყვანთ სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში და გულმოდგინედ შევუდგებით თქვენს მკურნალობას. — ვაჟა კობალეიშვილმა გაკვირვებულ იულონს ხელი ჩამოართვა და გულმხურვალედ გამოემშვიდობა.

აბა, ასეთ გულკეთილ და გულამაჩუყებელ ზრუნვაზე ვინ იტყვოდა უარს, მაგრამ უმადურმა იულონმა ჯინჯარაძემ სასტიკი უარი განაცხადა სამტრედიის საავადმყოფოში გადაყვანაზე.

მეორე დღეს, ე. ი. 30 იანვარს, მზრუნველმა ვ. კობალეიშვილმა კიდევ მოინახულა ავადმყოფი და შეეკითხა:

- აბა, რას იტყვით, პატივცემულო იულონ, კიდევ გახსოვთ 2 იანვრის ამბავი?
- მახსოვს კი არა, ახლაც თვალწინ მიდგას.
- ხომ გთხოვეთ, რომ დაგვიწყებინათ?!
- ვერ ვიციწყებ და, ვინდა მომკალით!
- რაკი ასეა, თქვენს ჩვენებას სხვანაირად დაუქარგავთ ძალას. აბა, პატივცემულო იულონ, ერთ საათში სასწრაფო დახმარების მან-

ქანა მოვა და თბილად ჩაიცვი, გამკრავმა ქარმა არ გაგირთულოს ჯანში ჩამჯდარი ავადმყოფობა.

„მზრუნველებმა“ არაფრად ჩააგდეს ი. ჯინჯარაძის ზრდილობიანი წინააღმდეგობა და მართლაც ერთ საათში სასწრაფო დახმარების მანქანით სამტრედიის საავადმყოფოში ექიმ-ნევროპათოლოგ თ. ალექსიძესთან ამოყოფინეს თავი. მან კონვეიერული წესით იგი ნევროლოგიურ განყოფილების ექიმს თ. მილორავეს გადაულოცა, მილორავემ ისევ თ. ალექსიძეს უთავაზა და მანაც თირკმელებით შეწყუბებული ავადმყოფი შინაურული ხელნაწერით ქ. ქუთაისის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში გაამწესა. ქუთაისის საავადმყოფოში მინაურული მოსაზრება და ი. ჯინჯარაძე სახლში დააბრუნა. მაგრამ რა დააცხრობა ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველ ადამიანთა გულის სწრაფვას: ი. ჯინჯარაძე 2 თებერვალს; ყველანაირი საბუთის გარეშე, ქუთაისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოში მოათავსეს და ფორმა №27 თავისი ყველანაირი დიაგნოზური ატრიბუტებით, ფსიქურად დაავადებულთათვის დამახასიათებელი სიმპტომებით დღის ბოლოს ექიმ თ. ალექ-


სიძის ხელმოწერით ი. ჯინჯარაძის ავადმყოფობის ისტორიას მიაკრეს.

ი. ჯინჯარაძის ქ. ქუთაისის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ყოფნის პერიოდი კარგად არის შესწავლილი გამოყოფილი ექსპერტის მიერ, რომლის აზრითაც ფსიქიკურად ჯანმრთელ ი. ჯინჯარაძის ნევროლოგიურ საავადმყოფოში მოთავსება ი. კობალეიშვილის მიერ მოხდენილი ავარიით ნერვებაში და ხასიათწამხდარ ნათესავ-მეგობრების გამოძიებისათვის ხელისშეშლისა და სიმართლის დაბნელებისათვის იყო მოგონილი.

საავადმყოფოდან გამოსული ი. ჯინჯარაძე ამავ აზრს იზიარებს.

მთელი მსოფლიოს ყოველი დროის ჯარისკაცებს შორის ყველაზე უფრო მამაცი ჯარისკაცის შვეიცის აზრი ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს შესახებ მართლაც რომ მოსაწონია მხოლოდ იმ შესწორებით, რომ — ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში უნდა მოხვდეს ის, ვინც ნამდვილად ნერვებაშილილი და გონებაარეულია.

3. ხვალაძე  
3. ახალლოზელი



— ღვინოს ხარისხის შესამოწმებლად მოვედი, რით დავიწყობ?  
— ყანვით, გაბონო ინსპექტორო!



რა ღირს კაბიღორი?  
საში მანეთი.  
ძველით თუ ახლით?  
ჯანდაბას, მძლავრ სკალი ნუ იწინებს, თორღე დახეულა არ იყოს.

# კაბინეტი, სპარკელი...

## 1. ეს ახალი დირექტორი

დირექტორის სავარძელზე ამძვრალა, რა სიმაგრე მისცემია, რა ძალა?!  
ახლა იგი იჭიმება საოცრად:  
ჩაუვარე და სალამი არ მომცა.  
ამ ადგილზე სხვა ენახათ, გაჭირდა?  
აბა, ამას გასაჭიმი რა ჭირდა?!

## 2. კაბინეტის კაცი

დღემდე ეწამა, ბევრი ეწვალა,  
ედგა ავდარი, — გამოედარა.  
გახდა ამაყი, ფერი ეცვალა,  
ცაში ვარსკვლავებს გამოედავა.  
იმის გარშემო სასწაულია,  
უყურადღებოდ არ ჩაუვლიან!  
რომ არ ფასობდა პანტის ჩირადაც,  
მიჩნეულია ახლა ჩირადუნად.

## 3. პატივცემული უფროსი


ერთხელ მაინც გამეგონა  
შენებური ტკბილი ხმა!  
ამ ადგილზე დანიშნვიდან  
ჰყვირიხარ და ჰყვირიხარ.  
იქნებ, გასოვის: არაერთხელ  
რარიგ განაწირი ხარ,  
ესეც დარჩეს ჩვენს შორის და,  
მართლაც კაი გმირი ხარ...  
და სანამდე გეძახიან  
პატივცემულ დირექტორს,  
იყვირებ და სულ იყვირებ,  
არ მოიშლი მძიმე ტონს!

ილია აროსია

მხოლოდ სამასი გრამი ჭაჭის არაყი ჰქონდა დაღეუ-  
ლი მაშინ და, აპიტომ, ყველაზე უფრო, ჭიჭიკო განიც-  
დიდა ადრე გამგზავრების თადარიგსა და ცერემონიას.  
ბრეზენტით გადახურული სატვირთო ავტომანქანის  
ძარაში ერთი მკვდარი ესვენა — ჭიჭიკოს მეუღლის  
ბიძა და არა სიდედრი, — ხოლო ჭიჭიკოს მხოლოდ  
სამასი გრამი ჭაჭის არაყი ჰქონდა შესმული (ასე უყვარ-  
და ჭიჭიკოს გამოთქმა) და ყველაფერი აქედან დაიწყო...  
გზა კი საკძაოდ გრძელი ედოთ: თბილისი — ზუგდიდი-  
რა თქმა უნდა, მანქანა მძღოლს მიჰყავდა!  
უძველეს სატახტო ქალაქში — მ ცხე თა შ ი ჭიჭიკო  
კაი ხანს უცქერდა ჯვარს და ამაყობდა...  
გორ შ ი ჭიჭიკომ ბევრი იწვალა, მაგრამ „შვიდკაცა“  
მარტოკამ მაინც ვერ თქვა (მიცვალეზულს აყოლა არ შე-  
ეძლო) და, ბუნებრივია, ჭიჭიკოს წყენა გულში არც კი  
გაუფლია.  
საშუ რ შ ი ჭიჭიკომ ისევ მარტო იტირა, მოაგონდა  
მშობლები და გულის დარდი, ეჭვები და ჭორები კუბო-  
ში მწოლიარე მკვდარს ბოლმად ვადმოუხიხია. მკვდარ-  
მა ამ შემთხვევაშიც, თანხმობის ნიშნად დუმილი ირ-  
ჩია და ამან ჭიჭიკო სულ გადარია.  
მანქანა კი ისევ მიჰქროდა. იგი, რა თქმა უნდა,  
მძღოლს მიჰყავდა...  
მიჰქროდა მანქანა და მიჰყავდა ერთი მიცვალეზული  
და მეორე — ცოცხალი ჭიჭიკო.  
სამტრედია შ ი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა:  
მიცვალეზულმა ცოლის ბიძამ, „მტრების ჯინაზე“, ასი  
გრამი „გრემი“ და თურქული ყავა ინატრა, ხოლო ჭიჭი-

კო ილიგს დაიყოლია. ვადმოუხტა ადელვებული ჭიჭიკო  
ორიგეს: მიცვალეზულსა და ბრეზენტის მანქანას და  
ცოლის ბიძის „მტრების ჯინაზე“ გული კიდეც იჭერა...  
ა ბ ა შ ა შ ი ჭიჭიკომ სრულიად უცნობი ავტონისპექ-  
ტორი, რომელიც ის-ის იყო, მოტოციკლიდან ვადმოდი-  
ოდა, საჯაროდ ვადაყოცნა. მერე, ხმამალა, ყველას გა-  
საგონად, სახარჯო ფული თხოვა, თანაც „პეტეტრუანი“  
ჭიჭებით გზა დაალოცვინა.  
ც ხ ა კ ა ი ა შ ი ჭიჭიკომ მანქანა, შორეული ნათესავის  
ნაცვლად, ვილაც სრულიად უცხო ოჯახის ჭიჭიკარში  
შეაჯრიალა და გაბმული საყვირით ეზოს სახეიმოდ სამ-  
ჯერ შემოუქროლა. გახარებულმა მასპინძლებმა თითქმის  
შუალამემდე სვეს და თხოვეს ჭიჭიკოს, რადგან გზად  
იყო, ბარემ ფოთშიც შეეველოთ და ისიც ძლივს დაიყო-  
ლიეს, მაგრამ მძღოლს გზა აერია და „მეცდომით“ ისევ  
ზუგდიდისაკენ გაუხვია.  
ს ო ბ შ ი ჭიჭიკოს არც „ხოში“ ჰქონდა ჩამოსვლის,  
არც ჭკუა და არც არაქათი: ის კუბოს გვერდით ედგო  
გაბობილი, ანუ ვალეწილი მთვრალი.  
გზა კი იკეცებოდა და ილეოდა...  
...ზუგდიდის ერთ-ერთი სოფლის შუალამის მღუმე-  
რება შემზარავმა კვილ-წივილმა და მოთქმე-გოდებამ  
გააპო. თმაგაწეწილმა და სახედაკაწრულმა ჭირისუფ-  
ლებმა და მეზობლებმა მანქანიდან, ერთის ნაცვლად ორი  
მკვდარი ვადმოსვენეს და ორივე გულწრფელად დაიტი-  
რეს: ერთი — ნადი მკვდარი, ხოლო მეორე — უბატ-  
რონო და ცოცხალ-მკვდარი ჭიჭიკო.





ნახ. ზ. ლომიძის

გალაღა მოუხა ღიანის გაფაშისტემისა.

ქალიშვილი მყავს ისეთი, ლამის შემშალოს ჭკუაზე! სინათლე გამღვეს გვერდებში, კაცი მიგდექი ყუაზე.

მისი წყალობით დამჩემდა თავბრუსხვევა და რეტია, სულ უმაღლესში ეწყობა, სულ აბითურიენტია.

შედის და ვედარ შევიდა, „შევალო“, მაინც მაირდება, ასლა რომ „ფეხი გაჭკიმო“, სულაც არ გამაკვირდება.

ყოველ მისაღებ გამოცდებს ველი ტანჯვით და წამებით, ჩაჭრიან, ის იკრიბება, მე მატრუნებენ წამლებით.

დარღმა და ფიქრმა დამადნო, თვალნათლივ ვატყობ ქამარზე, ჩემს ქალიშვილს და დედამისს რა ენაღვლებათ ამაზე?

გაზაფხულდება თუ არა, მყისვე შეჭკრავენ კამარას, ჩემი ნაყიდი საგზურით ეძებენ ჩრდილს და სამალავს.

მე დამიყრიან საბუთებს, კაცს აღარ ვგავარ სახეზე, განცხადებასაც თვითონ ვწერ, შემაქვს რექტორის სახელზე.

პროტექტორებსაც მე ვეძებ, ვეცნობი, ვინც კი მიკარებს, ვაზუსტებ, მინიმუმისთვის, რამდენი ქულა იკმარებს?

რა თემებია პუშკინში, ანდა, რა ხდება სხვაგანა, ვინა ცდის აბითურიენტს, კაცი, ქალი თუ მანქანა?

სადაა უფრო იოლი, ჩაბარება და გამოცლა, სად შეიძლება ბილუთის „დაწუნება“ და გამოცლა?

დავდივარ, ვარკვევ, ვამოწმებ ყველას სიტყვას და საქციელს, და მერე ელვადებუმი თვილს ვაწვდი ინფორმაციებს.

წელსაც შოვში მყავს ცოლ-შვილი, შოვი რგებს აბითურიენტს. გამოცდების წინ ჩამოვლენ, თუ ჩამომისწრეს სულიერს.

ჩამოვა ჩემი ასული, აახმურებს უბანსა, თუ წელსაც ვერ ჩააბარა, მე ჩავბარდები უფალს!

# ჭუს ზღუს ზიი

(მოქმედება ხდება აფრიკაში, გაზეთ „ჭუნგლის“ რედაქციაში)

### მოქმედი პირები:

1. რედაქტორი — ზებრა
2. მოადგილე — ანტილოპა

**რედაქტორი:** წერილი მართლაც მშვენიერი გამოგვლია: მხაფრია, კრიტიკული და კარგადაც არის დაწერილი. დროა, კტუა ვასწავლოთ ნიანგს. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენო, რომ საათური არ მომწონს — „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ...“ არა, საათური, თავისთავად, კარგია, მაგრამ გვინდა ახლა ჩვენ მგლის გადაკიდება? ისიც ვისთვის!

**მოადგილე:** მაშინ ასე ხომ არ აჯობებდა — „მელამ თავისი კუდი მოწმედ დაიყენაო“?

**რედაქტორი:** რა შუაშია აქ მელა? სად ნიანგი და სად მელა? მელას ამბავი ხომ იცი, საყვედურს არც კი გეტყვის, მაგრამ ჩავისაფრდება და, ვინ იცის, სად გამოვიტხრის ძირს.

**მოადგილე:** აბა, რა უბედურება დავარქვათ? თუშეცა მოვიფიქრე — „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

**რედაქტორი:** თუ ძმა ხარ, ყორანი არ გამაგონო! ავცილებს ლინძლა-ვინებით. ვისა აქვს ახლა მავისი პროვოკაციების თავი!

**მოადგილე:** „კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო“?

**რედაქტორი:** კატას თავი დაანებე! ჩემზე უკეთ იცი, ვეფხვის ბიძამეილია. ბოლოს და ბოლოს, ფელეტონი ნიანგზეა დაწერილი. ამ ერთი დამთხვეული ნიანგისათვის მთელ ქვეყანას ხომ არ გადავიკიდებ? სათაურსაც რომ თავი დავანებოთ, ფელეტონიც ნამეტანი ბუნდოვანი და მრავალმნიშვნელოვანი ფრაზებით გაქვს გადატვირთული. აი, თუნდაც ეს ადგილი (კითხულობს): „თავისი დორმუცელობით გამგებულნი ნიანგი გაათრებულნი ეცასპილოსავით ჩასუქებულ და ვირივით გაჯიქებულ მარტორქას“. (მოადგილეს): რას მიშვრები, ბიჭო, რას მერჩი? თუ მოხსნა გინდა ჩემი, პირდაპირ მითხარო! ამ ფელეტონის დაბეჭდვისაგან თავი უნდა შევიკავოთ!

**მოადგილე:** ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ამ ფელეტონის გამოქვეყნებით ბეჭემოთი რომაა დაინტერესებული?

**რედაქტორი:** ბეჭემოთი არ ვიცი მე. სხვა არაფერი გაქვს კრიტიკული?

**მოადგილე:** მაქვს ერთი ბატარა წერილი სათაურით — „კუმ ფეხი გამოყო...“

**რედაქტორი:** კუზეა?

**მოადგილე:** არა, შველზეა.

**რედაქტორი:** ააა, შველზეა? მაგას მაინც გაეძირობ ტყავს.

რა ჩაიდინა?

**მოადგილე:** ლომის ეზოში გადასულა და ბალახი მოუძოვია. **რედაქტორი:** არიქა, გვეშველა! თუ ძმა ხარ, ჩქარა წამოკითხე!

**მოადგილე (კითხულობს):** „ამ ორიოდე დღის წინ შველს გზაკვალი აბნევიდა და უნებურად ლომის სამფლობელოში გადასულა...“

**რედაქტორი:** ესაა, ბიჭო, კრიტიკული წერილი? ახლაც გადასწორე და ასე დაწერე: „გათავხედებულ და ნამუსგარეცილ შველს ცაქუდად არ მიიჩნდა და დედამიწა ქალამნად“.

**მოადგილე:** სწორი ბრძანებაა, ვერე უკეთესია, მაგრამ ყური მოგკარი, ვე შეველი დათვის ახლო მეგობარიო.

**რედაქტორი:** რას მელაპარაკები! მაშინ ჯობია, ისევე დაეტოვოთ, როგორც არის.

**მოადგილე:** დავგვერკა მაინც დათვისთვის, იქნებ ჰორია.

**რედაქტორი:** ყოჩაღ, ხანდახან შენც გამოურევე ხოლმე ჰევიანურს. (რეკავს) სათაფლია? თუ ძმა ხარ, დათვთან მალაპარაკე, ზებრა ვარ რედაქციიდან! გამარჯობა შენი! ჰო, შენი ბიძაშვილის თაობაზე გირეკავ. (შეშფოთებული) რას მელაპარაკები! ყველაფერი დღესავით ნათელია. კარგად ბრძანდებოდე!

**მოადგილე:** რაო, რა თქვა?

**რედაქტორი:** დათვს ვინ დაეძებს, ლომის ნათლული ყოფილა.

**მოადგილე:** ეუჰ! (შუბლში იტკიცავს ხელს).


**რედაქტორი:** ერთი კიდევ წამოკითხე, როგორ იწყება?

**მოადგილე:** „ამ ორიოდე დღის წინ შველს გზაკვალი აბნევიდა და უნებურად ლომის სამფლობელოში გადასულა...“

**რედაქტორი:** არ ვარგა. ჯობია, ასე დავიწყოთ: „ამ ორიოდე დღის წინ ჩვენს მშვენიერ, ხატულა შველს თავისი საყვარელი ნათლია ლომი მონატრებია და სულ კუნტრუშკუნტრუშით გადაურბენია მისი სამფლობელო“.


**მოადგილე:** კი მაგრამ, ნომერში ერთი კრიტიკული წერილი მაინც არ უნდა გვქონდეს?

**რედაქტორი:** მაგაში მართალი ხარ. რას გეტყვი, იცი? ის ახალი შტატგარეშე კორესპონდენტი რომ გვყავს, ჭალაში გაგზავნე, იქნებ ვირს წასწროს ხურმის ქამაზე. რუბრიკა უკვე მოფიქრებული მაქვს: „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია“. აბა, ნუღარ აყოვნებ! ორ საათში ფელეტონი მზად უნდა იყოს!



# წალკარაპეზა საპუტისა და სასპორტოა გინგლირთხევა

ნახ. 2. ფირცხალაპანსი



— ეს რა ხაროთა, ორი ნაკვირი ხორცი გდია შიბ?  
— გადმოყოლია, გატონო, თორემ მხარეული მართის მებტს არ აბლმეს ხოლმე.

ნახ. 3. ზარაფიზვილისა



ღისკუნის გახსნა.

ნახ. 3. ლოპიისა



— რაბლენად აქირაპებს ოთახს?  
— რას მებითხვები, ზედ არ აწობია?!

წემომწყრა იგელი პასპორტა ჩემი,  
ჩოალო ჰირი — კოლენკორი  
და მითხრა მკვახედ:

— ხან სად მხრი, ხან სად, —  
უდიერად მეპყრობი ერთობ!  
შენ ხარო კაცი!  
რას ვგაფარ ხედავ?!

— ეგ, არაფერი! — მივუგე მშვიდად, —  
დღეს გვიანაა,  
გამოცვლი სვალევი! —  
რაა მაგაზე ადვილი საქმე!

პასუხმა ჩემმა, კიდევ უფრო დაბოღმა იგი,  
გომბეშოსავით გადმოკარკლა თვალევი — ბეჭდის:  
— კი, როგორ არა, მოგართმევენ მაშინვე, დიას!  
შენ ეგ, გეთაყვა, ფლავის ჭამა გგონია, იქნებ!  
ჯერ ფოტოსურათს ეღირსები, ვინ იცის როდის,  
საპასპორტოში იყურეუტებ რამდენხანს მერე!

— ეგ, კია სწორი! — წარმოვთქვი ხეწეშით.  
— „ეგ, კია სწორი!“ — გამაჯავრა პასპორტმა ჩემმა  
და ახლა უფრო მოიცა გული:  
— არა, იქნება შენ გგონია, დიდი ხარ ვინმე!  
ფასი შაურიც კი არ არის უჩემოდ შენი!

თავის არ მსურდა გაყადრება თუმცადა მასთან,  
ჩემს უნებლიედ წამომცდა მაინც:

— ხმა ჩაიწყვიტე!  
შე, უმსგავსო წიგნაკო, შენა! —

პასუხად უცებ წინ წამოდგა პასპორტმა ბიჯი,  
აალაშლაშა ფურცლები — ენა  
და როკაპივით დამაყარა ქოქოლა თავზე:  
— მე ვარ უმსგავსო წიგნაკი, არა?!

ეაი, შენს პატრონს!..  
კი, მაგრამ, როგორ მიბედავ მაგას, —  
დღემდე შემთხვევა არ ყოფილა როდესაც ერთი,  
შენ მოქალაქედ ჩაეთვალო უჩემოდ ვინმეს!

მე ვარ უმსგავსო წიგნაკი, არა?!  
ჩანს, საქმის შენის შენ სრულიად არ იცი არსი:  
სიგლახეს (რაიც წარმოადგენს თვისებას შენსას), —  
ხილვადი ჩემგნით ენიჭება, შე შტერო, სახე.  
და, უფრო მეტიც, ვინაიდან, შენ, როგორც წესი,  
საქციელისკენ უმსგავსოსკენ მიგიბრბის თვალი,  
საყოფელთაოდ დაკანონდა ამიტომ სწორედ:  
სადაც არ უნდა ბრძანდებოდე, თან გახლდე ყველგან

მე მას სახეში ვესროლე სურა.  
ის გახტა განზე და თავისი განაგრძო ისევე:  
— აღიარება შენიღბული გახლავარ შენი,  
ხარ პიროვნება ვინაიდან შენ ერთობ გლისპი;  
გაქვს არაფერი შენ საერთო იმ კაცთან რადგან,  
რომელ კაცადაც გასალება გინდაო თავის!

მე დავიჭმანე თითებით ყურნი  
და გამოვიჭერ სახლიდან გარეთ.  
თვით არ ვიცოდი, გავრბოდი საით.  
წინ ვადამიდგა ვილაცა უცებ  
(უცნობს ნიშანი ეკეთა მკლავზე):  
— თუ შეიძლება, პასპორტი თქვენნი!  
— შინ დამჩა!  
— ვითომ?! —

გავარკვევთ მაგას! —  
მილიციაში წამოხვალთ ჩემთან!

მიმოვიხედე უმწეოდ ირგვლივ,  
ჯგროდ ირეოდა ქუჩაში ხალხი.  
ცად გაქცეოდა თვალევი ყველას.  
ცაში რაკეტა მიჰქროდა წითლად —  
„იუპიტერი 1200“.

ბულგარულიდან თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა

# შეკითხვა ნიანგო

## ძვირფასო ნიანგო!

კაპიტის ახალ სასაფლაოსთან (შენმა ავადმასხენებელმა მიიღოს იქაური ბინის ორდერი!) ცაიშის ქუჩის გაგრძელებაზე, მახათას მთის ძირამდე, ამ რამდენიმე წლის წინ კეთილმოწყობილი, მოსაფალტებული გზა იყო. ზაფხულის პაპანაქება სიცხის პერიოდში ახლომახლო მცხოვრებლები ამ გზით მივდიოდით ახალგაშენებული ტყის სივრცეში სულის მოსათქმელად, მაგრამ ზოგიერთ ზარმაც, ცუდლუტ და ლაყანტარა ავტომძღოლს შეშურდა ჩვენთვის ბუნების სიკეთე და დაიწყეს თავისებური ოინბაზობა: შემოუყენებენ აღმართს, ხენუნა-ხენუნით ათასნაირი ნაგვით დატვირთულ ავტომანქანებს, გააჩერებენ შუა გზაზე, ერთს კი მიიხედ-მოიხედავენ, მერე ასწევენ თვითმცლელი ავტომანქანის ძარას, დაყრიან გზაზე და, ნიშადურამოცხოვლივით, გარბიან უკან. მათი მიზეზით დაიკარგა გზაც და ასფალტიც... სუნსა და სილამაზეს ხომ ნულარ იკითხავთ: მთელ იმ არემარეში აქვს განთქმული სახელი!

როგორც ამ ბოლო დროს შევიტყვეთ, ასე უკუღმართ გზაზე წამოსულ შოფრებს ნაგვის ცხვირწინ დაყრაში შეჯიბრება გაუმართავთ და მათ შორის უკეთესებს გაუმარჯვიათ. აი ისინიც:

გრზ 33-03

გრზ 29-09

გრზ 02-62

გრლ 02-47

ნუ დაიშურებ, ძვირფასო ნიანგო, მათთვის დამსახურებულ ჯილდოს!

## 3. კახელიზვილი

## გულკეთილო ნიანგო!

როგორც ვიცი, უწინ მაყრები მასპინძლის ეზოში ქათამს დაიჭერდნენ ხოლმე და ამას ერთგვარი გართობის ხასიათი ჰქონდა. თუ ქათმის მაშინდელ ფასს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქათმის პატრონს, მაინცდამაინც, არა სწყინდა მთვრალი მაყრების ხუმრობა. ამ ჩვეულების ახალი, გაუმჯობესებული ვარიანტი შემოგვთავაზეს ადიგენის რაიონის სოფელ წარბასთუმნელმა მაყრებმა. გასულ წლის სექტემბერში, ჩვენს სოფელში გავლისას, ავტობუსი გააჩერეს, მთვრალეს დორი ქათამი ეგონათ, დაიჭირეს, ავტობუსში შეაგდეს და გზას გაუყენეს. ცოტა არ იყოს, გული მომივიდა: ვილაც უცნობმა ხალხმა აბუჩად რატომ უნდა ამიგდოს-მეთქი და მახარადის რაიონის მილიციას მივმართე. მახარადის რაიონის მილიციამ ადიგენის რაიონის მილიციას მიმართა. ამ უკანასკნელის მიერ „დადგენილ იქნა, რომ საბაშვილს 7 თვის გოჭი მოპარეს...“ დადგენილებებისა და ძიების მასალების გარდა, დღემდე ადიგენის რაიონის მილიციიდან არაფერი მიმიღია და არ ვიცი, ეს ამბავი ჩავთვალო ხუმრობაში ადიგენელ მაყრებს თუ არა? ხუმრობის ფასი შენზე უკეთ ვინ იცის და, მირჩიე რამე! თან იმასაც ვფიქრობ, დალოცვილებმა, ამასობაში ძროხებს არ მიჰყონ ხელი!

კ. საბაშვილი,

მახარადის რაიონი სოფ. დვაბზე.

## ჩემო ნიანგო!

ერთი თხოვნა გვაქვს თქვენთან: იქნებ ვერტმფრენი გამოგვიგზავნო! სადაც არ მივედი, ყველგან უარი გვითხრეს. ალბათ იკითხავ, რაშია საქმეო. მოგახსენებთ: ყიფშიძის ქუჩაზე ვცხოვრობთ, ვაკეში. ცხოვრებით კი ვცხოვრობთ, მაგრამ რა აზრი აქვს? სახლსავე მყოფნი სახლში ვეღარ დაბრუნებულან და სახლში მყოფნი გარეთ ვეღარ გასულან. ცოლი ქმარს გაეყარა და შვილი — მშობლებს (რა თქმა უნდა, იძულებით).

ჩვენი შრომითა და ამავით მოვობოვეთ უფლება, რომ ყიფშიძის ქუჩაზე გვეცხოვრა. იქვე, ამ ქუჩის მისადგომთან, კოლხერატული მშენებლობები წამოიწყეს. წამოიწყეს და გზაც გადაკეტეს. მანქანის გზას ვინდა ნატრობს, ფეხითაც ვეღარ მოგვიხერხებია კავშირი სახლსა და სამყაროს შორის. ერთხელ კიდევ გთხოვ, ჩემო ნიანგო, ჩვენს სახლს ძალიან კარგი სახურავი აქვს და იქნებ გამოგვიყო ვერტმფრენი, პირად საკუთრებაში თუ არა, განვადებით მაინც.

დიდად მადლობელნი დაგრჩებით!

ყიფშიძის ქუჩის 38 მობინადრე

# სტუმრად სოფელ ფუაკველში

(ნადლი პიესა)

მოქმედება ხდება თელავის რაიონის სოფელ ფუაკველში, სტუმარი ესაუბრება სოფლის მკვიდრს:

სტუმარი: დღეს რა ფილმს უჩვენებთ?

ფუაკველი: დუმის.

სტუმარი: ვისი გადაღებაა?

ფუაკველი: სოფლის ხელმძღვანელების.

სტუმარი: რანაირად?

ფუაკველი: რანაირად და, იანვრის აქეთ, კლუბი დაკეტულია: შესვლაზე რაინდობის წოდებაა დაწესებული.

სტუმარი: მერე, ეს როგორ შეიძლება?!

ფუაკველი: ცოტა წყნარად! მაღალ ხმაზე კლუბი ზვავით არ წამოვიდეს. სასწრაფო დახმარების მანქანაც არა გვაქვს, 45 კილომეტრზე თელავში „ბეგოვკით“, ცხენი რთა შებძული, იმით მოგვიწევს შენი წაყვანა.

სტუმარი: მერე, ვერ ჩასვამთ სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს?

(ფარდა დროებით ეშვება)



საქართველო  
ბიულთროთეკა

მთავარი  
რედაქტორი  
ნოდარ ღუმაბაძე

სარედაქციო  
კოლეგია:

ზ. გოლჭვაძე  
(პ/მზ. მდივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალაშვილი,  
გ. ნიშნიაშვილი  
(მთავ. რედ.  
მოადგილე),  
ნ. შველიძე,  
ო. ჭილიძე.

სატირისა და იუმორის  
შუბნალი „ნიანგო“.

თბილისი, რუსთაველია  
პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-  
юмористический  
журнал «Нианги».  
ბმლ. რედაქტორის  
99-76-69, რედ. მოადგილის  
93-49-32.

საერთო განყოფილების  
93-10-78.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემ-  
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემას ასაწყობად  
12/VI-70 წ.

ხელმოწერილია დასა-  
ბამად 3/VII-70 წ.

ჭალალდის ზომა

70x108 1/8.

ფიზიკური ნაბჯაღი ფურ-

ცელი 1,

პირობითი ნაბჯაღი ფურ-

ცელი 1,4.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემ-

ლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ.

№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА  
ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-  
НА № 14

შპკ. № 1890.

შპ № 11391.

ბირაში 130.70.



30588 კახელი

КОНТРОЛЬНЫЕ

1970

70-75

ნახ. გ. ჯორჯიანი  
გონატიონი

ინგლისის მთავრობამ, პარლამენტის  
არჩევნებთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ  
ირლანდიაში დამატებით 750 საზღვაო  
ფეხოსანი ჯარისკაცი გაგზავნა.

საბჭოთა კავშირის  
ფოსტის  
მუხრანის  
ფოსტის  
მუხრანის  
ფოსტის  
N. 453  
მემაგიდა 19  
წელი  
20. VII

